№ 113 4 მარიამობისთვე, უთშაბათი 1866—1877 4 მარიამობისთვე, ხუთშაბათ № 113

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐ: მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვისა—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ᲣᲛᲬᲔᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: ადგილობრივ ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდილი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲮᲣᲗᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲖᲔ“

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲛᲓᲐᲛ ᲕᲘᲓᲠᲔ 1878 ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲘᲐᲜᲕᲠᲐᲛᲓᲘᲜ

მიიღება თფილისში, „დროების“ რედაქციაში (ბანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის სტამბაში). სხვა ქალაქებში „დროების“ აგენტებთან.

ᲤᲐᲡᲘ ხუთი თვის გაზეთისა—4 მან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба.“*

ᲣᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲡᲐᲓ ᲕᲗᲮᲝᲕᲗ ᲘᲛ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲗ, ᲠᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲐᲚᲔ ᲒᲐᲐᲡᲬᲝᲠᲔᲗ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲕᲔᲓᲠᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲔᲗ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

ᲙᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 1 აგვისტოს. გაზეთს „Голосъ“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა ვენიდამ: „პლევნოსა და ბელას შუა 100,000 რუსისა და რუმინიის ჯარია მოგროვილი; კიდევ მოელიან ზიმნიციდამ. ᲪᲐᲚᲙᲔ დივიზიას მინდობილი აქვს გაჩერება ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ჯარებისა ᲝᲡᲛᲐᲜ-ᲑᲐᲨᲐᲠᲘᲡᲐᲙᲔᲜ. ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ მოწინავე ჯარი ნიკოპოლისაკენ იწევს, ის 20 ვერსზედ არის პლევნოდამ. ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲝᲡᲛᲐᲜ-ᲤᲐᲨᲘᲡ პლანი ის არისო, რომ ორივე მხრით დაუაროს თავი რუსების ჯარებსაო.

ᲔᲠᲗᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ მცირე ᲐᲖᲘᲐᲨᲘ მომქმედ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ჯარისა გამოხმობილია ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ბრძოლის ველზე იმ განზრახვით, რომ შეუერთდეს სულეიმან-ფაშას, რომლის ხელ-ქვეეითაც ამ ჟამად 70,000 კაცია.

ᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲘ, 1 აგვისტოს. ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ მმართველობის განკარგულებით, მცირე ᲐᲖᲘᲘᲡ დასავლეთ ფაშალიყებში 60,000 ახალი ჯარი უნდა მოიკრიბოს.

ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ფლოტს განზრახვა აქვს, რომ ᲙᲣᲡᲢᲔᲜᲯᲘᲡთან გამოიყვანოს ხმელეთზე ახალი ჯარი.

ᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲓᲐᲛ, 27 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ („დროების კორრესპონდენცია). ᲐᲛ ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ 24-სა ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲜᲐᲛᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘ ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ მხრიდგან ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲡ მობრძანდა მეორეს დღეს ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲐᲞᲝᲚᲘᲡᲐᲙᲔᲜ მიბრძანდა; გზაზედაც ინება მე-40 დივიზიის ბატალიონების დახედვა.

ᲐᲛ მოკლე დროში სოფ. ᲮᲐᲜᲩᲐᲚᲝᲡ ზევით ჩვენი სამზღვრიდგან, ᲐᲚᲐ-ᲑᲐᲑᲘᲡ მთიდგან, ᲡᲘᲚᲜᲐᲚᲘᲡᲐ და ᲗᲘᲝᲜᲔᲗᲘᲡ უეზდის მემცხვარეებს, რომლებიც ჩილდირში აკლებულნი იყვნენ თათრებისაგან, კიდევ 800 ბატკანი წაართვეს თარაქამეებმა და ჩილდირის მხარეს გადარეკეს.

ᲩᲘᲚᲓᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲜᲯᲐᲮᲘ 13 ᲐᲠᲘᲚᲘᲓᲒᲐᲜ, ე. ი. ამ ომის გამოცხადებიდგან, ჩვენ ხელშია და ამ მაზრის უფროსად დანიშნული არის უფ. ᲐᲜᲢᲝᲜ ᲫᲐᲜᲐᲜᲝᲕᲘ. ჩილდირში სულ თარაქამები სცხოვრებენ.

ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘᲐ: „მგელს სახელი გაუვარდა და ტურამ კი ქვეყანა ამოაგდოვო.“ ᲣᲐᲠᲡᲘᲓᲒᲐᲜ გამოსულმა ყაჩაღმა მეჰრ-ᲐᲚᲘᲛ თუ მემცხვარეების ცხენები დაიტაცა და ᲣᲐᲠᲡᲡ მირეკა, ბატკნებსაც ხომ ვერ გარეკამდა, რადგანაც ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ უეზდის სამზღვრიდგან ᲣᲐᲠᲡᲐᲛᲓᲘᲜ, პირ-და-პირ მოკლე გზით, 130 ვერსამდისინ არის და შუაში ჩვენი ატრიადი დგას; მაშა სადიმე ამისთანა ქურდობა უნდა მივაწეროთ ამ ჟამად ჩვენ ხელში მყოფ ჩილდირის თარაქამებს, რომლებიც შერიგების დროსაც ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ უეზდის სოფლებიდამ იტაცებდნენ საქონელს ცხენებს და ცხვარს; რასაკვირველია, ახლაც ეს თარაქამები არ მოისვენებენ. საუბედუროთ, ამ ჩილდირის უმფროსი მშიშარაა, ზურზუნაში დგას და მაზრაში არ დადის, გამოცდილ ხელ-ქვეეით ჩინოვნიკს არ იღებს ხოლმე და სულ მედუქნები ჰყავს; ამას აქვს უფრო ვაჭრობის ინტერესი; თარჯიმნად, რომელიც ხაზინდამ იღებს თვეში ხუთ თუმანს, თავისთან დანიშნა თავისი ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ დუქანში მყოფი დახლიდარი Ვ. ფ—ოვი თავისი დუქანიც ზურზუნას გადაატავინა და იგივე თარჯიმანი იქვე დახლიდრათ უზის.

ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ამ ჩილდირის მაზრის უფროსმა ყაჩაღის მეჰრ-ᲐᲚᲘᲡ ცხენოსნებით გამოსვლა ᲣᲐᲠᲡᲘᲓᲒᲐᲜ გაიგო, მაშინათვე თავისი დახლიდარი-თარჯიმანი დუქნით გამოაქცია ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡᲐᲙᲔᲜᲐ და მერე რამდენიმე დროს შემდეგ ამავე სვიტით ზურზუნას მიბრძანდა.

ᲡᲮᲕᲐᲗᲐ შორის უნდა მოგახსენოთ იმ მილიციონერების მოთავეების შოვნაზედ, რომელზედაც მოხსენებულია „დროების“ მე-95 ნომერში: როგორც იყო ეს მოთავეები აღმოსჩნდნენ: 1 სოტნის მოთავედ ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ მცხოვრები პრაპორშიკი ბებერი მარქაროვი და მე-2 სოტნის მოთავედ ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔᲚᲘ კოლლეჟსკი რეგისტრატორი, მარქაროვზე ბებერი ᲢᲔᲠ-ᲝᲚᲐᲜᲔᲖᲝᲕᲘ. პირველი, ამბობენ, ახალგაზდობის დროს გამოცდილი იყოვო, მაგრამ ეხლა ძალიან მოხუცებაში არის; მეორე ᲢᲔᲠ-ᲝᲚᲐᲜᲔᲖᲝᲕᲘ, როგოც მოგახსენეთ, პირველზედ მოხუცებულია; დღისით ეშინიან, ვერსად ვერ წავა და ღამე ყაჩაღებს სად გამოუდგება, თავის მცხოვრებთაგან შეკრებილი მილიციონერებით, დამტვრეულ-დამჩხვრეულ თოფიარაღით?! ᲔᲡᲔᲜᲘ ამისთანა მომზადებულობით როგორ შეინახამენ მაზრას, ან როგორ უნდა დაუხვდნენ ყაჩაღობაში გამოცდილს, კარგათ დაიარაღებულს თარაქამებს?

ᲐᲮᲐᲚ-ᲥᲐᲚᲐᲥᲐᲡ მაზრის უფროსმა სასტიკი ყურადღება მიაქცია, რომ სოფლებში თოფ-იარაღით ღამე და დღე ფრთხილად იყვნენ.

ᲯᲐᲕᲐᲮᲘ

ქ. ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘ, 27 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ

აზიის ბრძოლის ველიდამ

მუხთარ-ფაშის ხელ-ქვეით, როგორც ამბობენ, სულ ორმოცდ ექვსი ბატალიონი ჯარი არის ე. ი ორმოცდ-ათი ათას კაცამდინ. ეს ჯარი, როგორც მოგეხსენებათ, ლორის-მელიქოვის კორპუსის პირდაპირ დგას, ალაჯის მთებზე.

—

დღევანდელ ტელეგრამმებში ნახავთ, რომ ოსმალოს მმართებლობამ განკარგულება მოახდინა, რომ ერთი ნაწილი მუხთარის ჯარისა ევროპისბრძოლის ველზე უნდა გაიგზავნოსო. მაგრამ უცხო ქვეყნის გაზეთები კი გვარწმუნებენ, რომ მცირე აზიის ჯარს არათუ მოაკლებენ ახალ ჯარს აგზავნიან კიდევ იქითკენ.

—

მეოთხველმა იცის, რომ ჩვენი ქალალდის ფული ისე გადიოდა ოსმალეთის სომხეთში, როგორც გადის ხოლმე რუსეთში. მაგრამ ახლა კი, როგორც „თფილისის მოამბის“ კორრესპონდენტი გვაცნობებს, ჩვენს ქალალდის ფულს იქაური მცხოვრებლები თითქმის სრულებით აღარ ღებულობენო, რადგან ერთს რომელლაც მიკიტანს ყალბი ბილეთები გაუსაღებია თურმე იქაურს სოფლის ხალხში და მას აქეთ დაშინებულან და თუ სრულებით ახალი ქალალდი არ არის, ხელსაც არ კიდებენო. ეს ყალბი ბილეთის გასაღება ჩვენ სამხედრო მთავრობას შეუტყვია და დამნაშავე დაუტუსაღებიათ.

კორრესპონდენტი საზოგადოთ ჩვენი ჯარის მირკიტანტებზე დიდ უკმაყოფილებას აცხადებს. ერთი-ათად ჰყიდიან ყველაფერს და იმასაც საძაგელს და გაფუჭებულსაო.

—

რუსული გაზეთის „Голосъ“-ის თფილისელი კორრესპონდენტი იწერება, რომ აქ მოგროვებულა ამ ჟამად ძალიან ბევრი დაჭრილი და ავათმყოფი მეომრებიო; მაგრამ უბედურება ეს არისო, რომ ამ ავათმყოფებისათვის აქ არც საკმაო ექიმებია, არც ლაზარეთები, არც წამლები და არც მომვლელები; ამის გამო აქაურ საზოგადოებაში ხშირად ისმის უკმაყოფილებაო და სასიამოვნოთ დაურჩათ, როცა შეიტყესო, რომ აქ ჩამოვიდა მედიცინის დეპარტამენტისაგან გამოგზავნილი პირი, რომელმანც უნდა დაათვალიეროს აქაური სამხედრო ლაზარეთები და ლონის-ძიება მიიღოს იმათ გაუმჯობესებისათვის. იმედი აქვთ რომ ეს რევიზორი ჯეროვან საშუალებას მიიღებს და ჩვენ დაჭრილ და ავათმყოფ მეომრებს უპატრონოთ და უწამლოთ არ დასტოვებსო.

—

ამავე გაზეთში დაბეჭდილია თფილისიდამ 27 ივლისს მიღებული დეპეშა, რომელიც გვაცნობებს, რომ დღეს წავიდა აქედამ ერევნის გუბერნიაში, დარაჩიჩაღში, ფინლანდიის სანიტარული ატრიადიო; სულ 17 ფურგუნით წაუღიათ ყველა საექიმო კუთვნილება ამ ლაზარეთებისა.

—

ევროპის ბრძოლის ველიდამ

რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა დუნაის არმიის მთავარ სარდლისა:

„ბ ო რ ნ ი ს ტ უ დ ე ნ ი, 30 ივლისს. უცხო ქვეყნის გაზეთებში ბევრს ლაპარაკობენ ჩვენი ჯარის გამოქცევაზე 18 ივლისს, პლევნასთან დამარცხების შემდეგ, აგრეთვე ჩვენი ჯარის დამარცხებაზე სისტოვასთან, რაზგრადთან, რუსჩუკთან და სხვა ადგილებში. ყველა ეს ამბავი სიცრუეა. ერთხელ-და-სამუდამოთ გთხოვთ, ნუ მიაქცევთ ყურადღებას იმ ცნობებს, რომელსაც ოსმალოები და ჩვენი მტერი ევროპის გაზეთები ავრცელებენ ჩვენს დამარცხებაზედ. თუ ჩვენგნით არაფერი ამბავი არ მოგდისთ, ეს იმას ნიშნავს, რომ საქმეები კარგათ მიდის და ახალი არა მოხდარა-რა ბრძოლის ველზედ. როდესაც ჩვენ დაგვამარცხეს, იმწამსვე გაცნობეთ მე თვითონ ეს ტელეგრამით.“

—

უცხო ქვეყნის გაზეთებში იწერებიან, რომ ევროპის ბრძოლის ველზედ ოსმალოებს ამჟამად 230,000 კაცი ჯარი ჰყავსო. ეს ჯარი სამ ნაწილად არის გაყოფილი: პირველი კორპუსი, რომელსაც ვიდდინის კორპუსს ეძახიან, ოსმან-ფაშას აქვს მინდობილი და იმყოფება ამ ჟამად პლევნასთან; მეორე კორპუსის სარდლად დანიშნულია სულეიმან-ფაშა, ეს ადრინოპოლის კორპუსია და მოქმედებს ბალკანის მთების გადალმა; მესამე კორპუსი მეჰმედ-ალი-ფაშას ჰყავს ჩაბარებული, რომელიც ამავე დროს მთელი ოსმალოს ევროპის არმიის უფროსად ითვლება,—ეს კორპუსი იმ შესანიშნავ „ოთხ-კუთხედში“ იმყოფება და მოქმედებს, რომელსაც ოთხი ციხე: სილისტრია, ვარნი, რუსჩუკი და შუმლა შეადგენენ.

—

ვენის გაზეთს „Abendpost“-ში იწერებიან:

„ოსმალოს სამხედრო მთავრობის განკარგულებით, ძალიან ბევრი ჩერქესის ჯარი დაყენებულია სერბიის სამზღვარზე. მეჰმედ-ალი-ფაშა რაზგრადში მაგრდება და ოსმან-ფაშა პლევნაში. სულეიმან-ფაშა კი ეცდება, რომ ბალკანის მთებს იქით გადადევნოს ისევ რუსები. ბალკანზე გადასვლის შემდეგ, სულეიმან-ფაშა მეჰმედ-ალი-ფაშის და ოსმან-ფაშის შუა დადგება თავის ჯარით იმ განზრახვით, რომ ხან ერთს და ხან მეორეს გაჭირების დროს, მიაშველოს ჯარები.“

—

27 ივლისს გამოსულს ვენის გაზეთს „Tagblatt“-ში დაბეჭდილია ვარნიდამ მიღებული დეპეშა, რომ რუსის ჯარმა სრულებით მიატოვა სამხრეთი ნაწილი ბალკანის მთებისაო და შიპკოს გასავალით გადმოდიან უკანვე ამ მთების გადმოლმაო.

—

რუსჩუკსა და პირგოსს შუა, როგორც ვენის გაზეთი „Presse“ გვაცნობებს, 29 ივლისს, 60,000 ოსმალოს ჯარი დგას; ახმედ-ეიუბ-ფაშა 40,000 კაცით და 15 ბატარეიით რაზგრადთან დგას, საცა ძალიან გამაგრებული არისო. სულეიმან ფაშას კი ბრძანება მოსვლია, რომ, რათაც უნდა დაუჯდეს, განდევნოს რუსები ბალკანის გადალმა და თვითონაც გადავიდეს თავის ჯარით ბალკანზე და მეჰმედ-ალისა და ოსმან-ფაშის შუა დადგეს.

—

ბელგრადიდამ მოსული დეპეშა გვაცნობებს, რომ 12 ბატალიონს ქვეითა ჯარსა და 5 ბატარეიას ბრძანება მოუვიდაო, რომ ნეგოტინისა და ზაიჩარრისაკენ გაემგზავრონ.

საქართველო

ღლიური

*** ბუშინწინ მთელი ნასადილევი ჩვენი ცა მოღრუბლული იყო და გუშინ დილას, როგორც იყო, ცოტა ჩამოწვიმა; ძალიან ცოტა,ასე, რომ ქართლ-კახეთშიაც რომ კიდეც ყოფილიყო ეს წვიმა, ამ საშინლად გამხმარ მიწას ვერც კი გაალბობდა. მაგრამ, დილის 10 საათზე, როცა ამ სტრიქონებსა ვსწერთ, ცა კიდევ მოღრუბლულია, ბარომეტრი წვიმისაკენ უჩვენებს და იმედი ვიქონიოთ, რომ კიდევ მოვა წვიმა.

*** ჩვენს ქალაქში ჩამოვიდა ამ დღეებში სერბიის გმირი ღენერალი ჩერნიაევი....

*** სიღნაღიდამ გვწერენ ჩვენ, რომ სიცხემ შეგვაწუხა და გადაგვწვაო, წვიმებს ვერ ველირსეთო. შიშიანობაც აღარ არის ლეკებისაგანო, მხოლოდ თრიალეთზე ჩვენების ცხვარი (2,000-მდინ) და ხალხი დაუტაცნიათ ოსმალებსაო.

*** თფილისიდამ გაგზავნილს გაზ. „Голосъ“-ის კორრესპონდენციაში, სხვათა შორის შემდეგი ალაგი დაბეჭდილი:

„Ყველა აქებს ჩვენში მოქმედებას და ენერგიას იმ კომისიისას, რომელიც სამხედრო სურსათისა და ფურაჟის ყურის-საგდებელად არის სამხედრო სამინისტროსაგან დანიშნული (полевой контроль). ამ კომისიამ გაათავა ახლა სამხედრო ოლშპიტლისა, პროიანტის და აფთექის რევიზია და, როგორც ნამდვილად შევიტყე, ზოგიერთი უწესობა აღმოჩენილა. სხვათა შორის ერთი ჩინოვნიკი გადააყენეს იმისთვის, რომ ავათმყოფებისათვის, როგორც დაბეტკიცდა, ფურგუნები 3 მანეთად დაუჭერია და ხაზინისათვის კი წარუდგენია, რომ 11 მანეთად დაჯდა თითო ფურგუნიო.“

** „თელავის მოამბეში“ დაბეჭდილია ზორიდამ მიღებული შემდეგი საძაგელი ამბავი:

„აქაური პოლკის ორმა აფიცერმა, 30 ივლისს, საღამოს $3^1/_2$ საათზე, შეიტყუილეს ქუჩაში მიმავალი ხუთი წლის ქალი, დაათვრეს და ძალად გააუპატიურეს... იმ დღესვე ეს ქალი ნახა დედამისმა იმ აფიცრების ფანჯარებთან; უგრძნობელად ეგდო; მიიყვანა პოლიციაში, შეამოწმეს და ნახეს, რომ სამშობიარო ნაწილები საწყალ ბავშვს გახეული და გაფუჭებული ჰქონდა. ახლა უნდა შეამოწმონ ის ორი აფიცერი, რომლებზედაც ეჭვი აქვთ აღებული.“

** ჩვენ მივიღეთ ზორიდამ ამ დღეებში შემდეგი შენიშნვა:

„ზორში და ზორის უეზდის სოფლებში მაისის აქვთია ერთი წვეთი წვიმა არ მოსულა. შენი მტერი იყოს დაღონებული, როგორც ჩვენი უეზდის გლეხები არიან დაღონებულები: სულ ჩივიან და ტირიან, რომ სიმინდი და ძირის მოსავალი გეფუჭდებაო, თუ ამ ორ-სამ დღეში არ მოგვივიდა წვიმა, სულ დახმება ჩვენი ნამუშავარი მოსავალიო. ამ უწვიმობამ და ცუდ ამინდებმა ახლა ცოცოტა ყურძენსაც მოაყარა ნაკარიო.

„საქონლის თურქული და ჭირი თანდი-თან მრავლდება სოფლებში.

„ამნაირ უბედურებაებს სულ უწვიმობას აბრალებენ ჩვენი უეზდის გლეხკაცები.

„წუხელის, 9 საათზე, ჩვენს ბაზარში ერთ მაღაზიაში ლამპა გასკდა, წაეკიდა ნავთსა და საჩქაროთ უშველა ხალხმა გაქრობა, თორემ სულ გადაიწოდა ჩვენი მინგრეულ-მონგრეული ბაზაზნანა. მართალი გითხრათ, არც მაგდენი სამწუხარო იქნებოდა: მერე იქნება უფრო კარ პლანზედ დაეწყოთ აშენება. ყველგან აკეთებენ ახალ ბაზარს, ყველა ქალაქს ჩვენშიაც კი ახალი მაღაზიები და სავაჭრო სახლები ელირსა, მაგრამ ჩვენი ზორის ბაზარს კი არაფერი არა ეშველა რა. იქნება მეც მოვაჭრე ვიყო ამ ბაზარში, მაგრამ კაცმა სწორეთ უნდა სთქვას, რაც კი რამ ნაკლებულება აქვს ჩვენს ბაზარს: იქნება ცოტაც არის ყურადღება იქონიონ და გააკეთონ მაინცა და მოვრჩეთ მომსველელ უცხო ხალხების დაცინვას ჩვენს ბაზარზე...“

„დროების“ კორრესპონდენცია

თელავი, 29 ივლისს. ამ ჩვენს თელავის უეზდში ჯერაც არსად არის წვიმები და იმის გამო შემოდგომის მოსავლისა, ესე იგი სიმინდისა და ფეტვისა, სრულებით იმედი დაგვეკარგა. ბალახი სრულებით აღარ იპოვება, არა თუ ვაკე ადგილებში, არამედ მაღალს ადგილებზედ, როგორც ვსთქვათ ციავი, ზომბორი და სხვა.

სიცხეები არის იუტანელი; ისეთი გახურებულია დედამიწა, რომ ფეხ-შიშველ კაცს არ შეუძლიან გაუძლოს ზედ დგომა ორ მინუტსაც.

მამა-პაპის ჩვეულებით სახნავი მიწის განსაკეთილებლად მემამულეები უკიდებენ ცეცხლს და სწვავენ ნამჯას; თითქმის ყოველ ღამე ალაზანს გაღმა და გამოღმა მხარე განათებული ცეცხლის ალისაგან. ერთის მიწიდგან მსწრაფლ გადადის ცეცხლი მეორეში, მეორიდგან მესამეში და ამგვარათ ხანდისხან ცეცხლი მიაწვევს ხოლმე ტყიან ადგილებსაც და აძლევს ზარალს. ამ თვის ნახევარში ერთს ყვარულს გლეხს მოეკიდებინა ცეცხლი ნამჯისათვის და აქედგან გაუოლილმა ცეცხლმა დაუწო მეორე გლეხს მომკილი პურის ძნა, რომელიც ჯერ არ წაეღო მინდვრიდგან სახლში.

თელავის ადგილობრივ პოლიციის მთავრობამ მიწერილობით თუმცა აღუკრძალა ნამჯის დაწვა, მოსასპობელად მოულოდნელის უბედურებისა ცეცხლისაგან, მაგრამ არა-რაიმე მოქმედება არ უჩანს ჯერ ამ განკარგულებას და ცეცხლები, როგორც აქამდის, ისევ სჩანს ყოველს დღეს და ღამეს.

თუმცა პურის მოსავალი დიდძალი არის ქახეთში, მაგრამ, რომ ჰხედავენ სიმინდისა და ფეტვის მოუსავლობას, პურის ფასმა აიწია ზევით: ბუშინ გაიყიდა საყდრიონის პური კოდი თოთხმეტ აბაზათ. ბზეც ბევრი არის, მაგრამ ესეც დაგვიძვირდება ამისათვის რომ, უბალახობის გამო, ცხენებსა და საქონელს ეხლავე ბზესა და ხმელ თივას ეაჭმევთ.

მომეტებულმა სიცხემ ყურძენს აღარ მისცა ნება მარცვლის დასრულებისა და ემგზავსება ტყის ყურძენს—კრიკინას.

აქაურს სოფლებში არის, თუმცა ჯერ ხშირათ არა, ყვავილი, წითელა და სიცხა. ავათმყოფები მშვიდობიანათ რჩებიან ორის პირველის სნეულობისაგან; უკანასკნელმა კი აზარალა [illegible] ოვილები.

ქალოებზედ პურის ლეწვა ძალიან მარჯვეთ მიდის, მაგრამ მგონია, რომ ბევრმა ვერ მოასწროს სრულებით გალეწა თავისის წლევანდელის მოსავლისა: მე ვიცი რავდენიმე გლეხი, რომელსაც ორ-ოლი კალო აქვს გამართული და ეშურებიან ლეწვას, მაგრამ, ძალიანაც რომ ეცადნენ, მაინც-და-მაინც მომავალის წლისათვის კიდევ ღარჩებათ ერთის თვის სალეწი ყანა. აქამდინ საქონლის პატრონები ეხვეწებოდნენ უსაქონლო ხალხსა, რომ პურს გაგილეწავო და ბზე ჩემი იყოსო; ახლა კი უკანასკნელნი ეხვეწებიან პირველთ, ოღონდ გაგვილეწეთო და ბზეს გარდა თითო კალოდგან სიმ-სამ ლიტრა პურსაც მოგცემთო.

ეს უფრო კი იმისგან მოხდა, რომ საქონლის სნეულება არის გაჩენილი (თურქული) და ადგილობრივი მთავრობა ამაზედ არაფერსზრუნავს.

შიგ თელავში ღვინოს ფასი მოემატა; კარგი ღვინისა თუნგი არ იშოება შვიდ აბაზზედ ნაკლებ.

ა. შიუკოვი.

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

ერთი ფრანცუზული გაზეთის კორრესპონდენტი იწერება სტამბოლიდამ, რომ ივლისის შუამდინ აქ კიდევ დიდი ძალი და გავლენა ჰქონდა სერვერ-ფაშის პარტიას, რომელიც თხოულობდა, რომ, რადგან ჩვენი ომის საქმეები ასე ცუდათ მიდის, უმჯობესია ახლავე შეურიგდეთ რუსებსაო, თორემ შესაძლებელია, რომ უარესი დღე დაგვადგესო.

„მაგრამ ივლისიდამ დაწვებული აქ ყველანი გამხნევდნენ, ყველას იმედი მიეცა. ჯერ მცირე აზიიდამ მოსულმა კარგ ამბებმა და განსაკუთრებით შემდეგ, როცა ოსმან-ფაშისაგან პლევნასთან სამჯერ გამარჯვების ამბავი მოვიდა, ჩაჩუმდნენ ისინიც, ვინც მორიგებაზე ასე მაღლა ყვიროდნენ; ახლა ბრძოლის მომხრეებს ისევ ძალა მიეცათ. მთავრობა ზამთრისთვის ემზადება ახლა აქ საომრად.“

ამერიკის შტატების რესპუბლიკა

მუშების არეულობა ამერიკაში ცოტაც არ იყოს დაცხრა. ამერიკის გაზეთებში იწერებიან, რომ ამ ჟამად მხოლოთ ნიუ-იორკში, ჩიკაგოში და სან-ფრანჩისკოში არ დაწყნარეულან ჯერ კიდევ მუშები და არ მოუკიდნიათ თავიანთი საქმისათვის ხელი, სხვა ქალაქებში კი

ყველგან მოთავსდნენ პატრონებთან და ხელ-ახლად დაიწყეს მუშაობა ქარხნებში და მინდორზედო. Არეულობის დასამშვიდებლად სხვა-და-სხვა ქალაქებში ჯარი გაუგზავნიათ, მილიციები შემდგარა, რამდენიმეჯერ შეტაკება ყოფილა ჯარსა და მუშებს შუა; ამბობენ, ას კაცზე მეტი მოკლული და დაჭრილი არისო, სამი ამოდენა დატუსაღებულები არიან.

ნარევი

Ერთს რუსულს გაზეთში დაბეჭდილია Ოდესიდამ მიღებული ამბავი, რომ იმ კამისიამ, რომელიც სამხედრო სურსათისა და თივის დასახედავთ იყო დანიშნულიო, ამ კამისიამ აღმოაჩინაო, რომ 180,000 ფუთი თივა აკლდაო მაღაზიაში; დატკეპნილ თივის ტუკებს გარედამ თივა ჰქონდათ თურმე შემოწყობილი და შიგნით კი ბალახ-ბუღლახი და სხვა უვარგისი რაღაცები იყო ჩაწყობილიო.

* * *

Საშინელი ცეცხლი გაჩენილა გასულ ივლისის 25-ს ქ. Სამარაში. Სამარის ღუბერნატორი იწერება, რომ ორი დღის განმავლობაში ვერ გავაჩერეთ ცეცხლი, თუმცა ყოველი ღონის ძიება მივიღეთო. Თექვსმეტი უბანი ქალაქისა დაიწვაო 160 სახლი (ამათში ორი ეკლესია) შთანთქა ცეცხლმაო და ამას გარდა ათი ათასი საჟენი შეშა, რომელიც მდ. Ვოლგის ნაპირებზე იყო დაწყობილიო.

Სულ რამდენიმე მილიონის ზარალი მისცემია მცხოვრებლებს; აუარებელი ხალხი სრულებით უსახლ-კაროთ და ულუკმა-პუროთ დარჩენილა.

* * *

Კავკასიის მომქმედ არმიის ქვეშევრდომ ჯარის უფროსს ლენ.-ლეიტ. ბეიმანს ვიღაცა Ვლადიკავკასელი ვაჭრისაგან ბარბუნოვისაგან მოსულია 3 მან. და 50 კაპ. იმ პირობით, რომ ერთი მანეთი და ათი შაური მიეცეს იმას, ვინც Ოსმალის დროშას იტიტაიებსო, ერთი მანეთი დაჭრილ ავათ მყოფ მეომრების წამლისთვისაო და ერთი მანეთი იმას, ვინც პირველად Ყარსში შესდგამს ფეხსაო.

ГАНСЦХАДЕБАНИ

МЕЕХУТЕ КАРИ

„ЧАРАМАНИАНИ“

Гамовидда и ісыидеба, Тфилісში: Мелиджиновлісі стамбаши да схва ґиґнісі маґазиебші. Спарсулидган ґартулі ґеназ натарґмні тавісі сурათебіт. Фасі 40 капі. (ори абазі). Аґретвеі ісыидеба земохсенебулі адґилебші I, II, III, да IV кари Чарамниниа.

Ґутаісші: Губернніісі стамбаші, Сеімон Чомахідісთან.

Гамоцдили да ґанатлебули ґали, romelmac іцісі rusuli, ґрацузули, анґлиури да німецури, аґлевс **УРОКЕБС**іаф ґасат.

Мсурвелсі ам ґалісі нахвісა, шеґудлиан мідмартоса мадам Канонихс. Тетрадовісі сахлебші Овраґскісі ґучазе.

ПРЕИС-КУРАНТИ

Т. ИВАНЕ КОНСТАНТИНЕС ДІС БАБРАТИОН-МУХРАНСКІС

сардафебідам 1877 წელს гамосули

ДВИНОЕБІСА

Тфилісში, сакутарс сахлші, Воловінісі проспектзе.

romelі წლის ღვინოა	Сорти ღვინისა	ფასი ბოთლისა უბოთლოთ მან.	კაპ.
	Мухрани		
1874	თეთრი № 1	„	60
	„ 2	„	40
	„ 3	„	30
—	წითელი № 1	„	60
—	„ 2	„	40
	„ 3	„	30
	„Мефісі“ ღვინო		
	თეთრი	2	„
	წითელი	2	„

Тітоо бочолісათვის мґиґдевелі стовебс сам шаурс, რომელსაც уканве міиґебс, რომელსაც бочолс моітанс (3—2)

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
Тфилісი .	9	21	5	18				
Мцхета. . .	10	11	6	27	-	68	-	38
Боріс . .	11	58	9	43	2	40	1	23
Хашури . .	1	29	11	57	3	92	2	18
Сурами. . .	1	44			4	42	2	46
Цвірісі .	5	49			5	81	3	23
Ріонісі . .	6	47			6	75	3	75
Самтредіа .	7	41			7	73	4	29
Ах.-Сенаки .	—	—			8	57	4	76
Поті. . .	9	40			9	75	5	42
Поті . .	9	13						
Ах.-Сенаки.	—	—			1	18	-	66
Самтредіа.	11	16			2	6	1	14
Ріонісі . .	12	13			3	4	1	69
Цвірісі . .	1	18	ღამე		3	98	2	21
Сурами. . .	5	12	1	10	5	33	2	96
Хашури . .	5	39	1	37	5	84	3	24
Боріс . .	7	5	4	8	7	36	4	9
Мцхета .	8	50	6	59	9	8	5	4
Тфилісი .	9	31	7	56	9	75	5	42

ТЕЛЕГРАФИ

Оці сітуґа Тфилісидам:	მ.	კაპ
Ґутаісს, Потс . .	1	—
Боріс, Душі, Сілнаґі	-	50
Ростовс, Одесас, Московс	2	—
Петербурґс, Варшавас . .	2	—
Одесаеші, Швеіцариаші	3	—
Італиаші да Саґрангвеші.	3	50
Інґлісші	3	75

ФОСТА

а) Тфилісидам: Самзґвар гареთ, Ґутаісს, Русеთს—ყოველ დღე კვირას გარდა. Зуґд. ორშ. და სამშ. Одзурс.—Парасკ. და ორშ. Кахеთს—სამშ. და შაბ. ბ) Ґутаісидам: Тфилісісა და Потісაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. Одзурґеთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა Русеთში და Самзґвар гареთ:		კაპ
Ліа წიგნის	4	
Дебеґділісі (სამი მისხალი) .	8	

ГИРЧА

Петербурґი, 1 Аґвістოს	მან.	კაპ
Ерთი ანეთი ლირს:		
Лондонში 24 ფენსი.	—	78
Парიეში 262 სანტიმი.	—	81
Есконტი (сарґебліс ფასი)	7½	—
Банкісі ბილეთი 5%	94	—
Моґебіані (Пірველისესხი)	207	—
Моґебіані (Მეორე ხესხი)	207	50
Гирачаს ფურცლები:		
Тфил. сааз. Банкіс.	—	—
Херсонісі Банкіс (5½)	83	—
Московісі (5%). . .	90	50
Акциебі:		
Одесісі Савачро Банкіс	158	—
Потісі-Тфил. Ркінісі Ґзіс	—	—
Шавіზ ზღვის ცეცხ. ґემების	465	—
Кавкасіс да Меркурісі. .	203	—
Пірв. саზღვევ. саზოგ.	735	50
Петерб. саზღვევ. саზ.	235	50
Московісі саზღვევ. саზ.	268	—

МАЗАНДА

Тфилісი, 3 Аґвістოს	მან	კაპ.
Цвილ. თეთ. Банґісა, ფუთ.	1	20
Цвілი წითელი. . .	1	—
Ґері ფუთი. . . .	—	70
Бамба Ірівანისა, ფუთი .	7	—
—Америкісა, ფუთი. .	8	50
Бакінტილი бамба ფთ.	7	80
Матуели თუშური ფთ .	6	—
—Мараґамісა ფთ. .	3	80
Абрეშუმი ნუხური სტ.	2	20
Ґონი, ფუთი. . .	5	50
Ґონის სანთელი ფუთი.	6	20
Стеარინის სანთელი, ფ.	12	—
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	54
—ცხვრისა, ლიტრა .	—	54
Спірტი, ґრადუსი .	—	12
Шаґარი, Броц. ფუთი .	7	80
—ფხვნილი ფუთი . .	7	50
Уаґა ბრგვალი, ფუთი .	25	—
Зеთი ქუნჯუთისა ფუთ.	9	—
Одзрс ½ იმპერიალი. .	7	97

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 Августа 1877 г. Типографія Меликова. Бамомцемелі ს. Мелиджишвили. Редакторі ს. Месხი.